საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეხჩისციხის განძი

მეხჩისციხის განძი, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების განძი. აღმოჩენილია 1896 მდ. ფოცხოვისწყლის აუზში (ყარსის ყოფილი ოლქი). ეს ამ ცულების გავრცელების უკიდურესი სამხრეთგანაპირა მხარეა. მ. გ. თარიღდება ძვ. წ. X-VIII სს. მასში წარმოდგენილი იყო როგორც კოლხური, ასევე იბერიული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები. მეხჩისციხის ცულს ყუაზე შვერილი აქვს. ნივთები დაცულია სანქტ-პეტერბურგის ანთროპოლოგი-ისა და ეთნოლოგიის მუზეუმში.

ლიტ.: კ ა ხ ი ძ ე ა., მ ა მ უ ლ ა ძ ე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათ., 2000; ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე ვ., აჭარისწყლის ხეობა (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა ქედის მუნიციპალიტეტის მიხედვით), ბათ., 2000.